

არაცხადი ინფორმაცია და კანონიკურად შეუღლებული არამკაფიო ქვესიმრავლეები
მაგდა ცინცაძე

ელ-ფოსტა: magda.tsintsadze@tsu.ge

კომპიუტერული მეცნიერებები, ტექნიკური ინფორმატიკა,
თსუ, თბილისი, 0186, უნივერსიტეტის ქ #13

თანამედროვე სამყაროში ჩვენ ძირითადად ორი ტიპის განუზღვრელობასთან გვაქვს საქმე, რომლებიც დაკავშირებულნი არიან „განუსაზღვრელ“ და „ორაზროვან“ ინფორმაციასთან. პირველი ტიპის არამკაფიოობის მოდელირება როგორც წესი ეფუძვნება არამკაფიო სიმრავლეებსა და მათი დასაჯერობის ხარისხს. არამკაფიო სიმრავლეებით მოდელირების მთავარი მოუხერხებლობა მდგომარეობს იმაში, რომ ის ძირითადად ექსპერტულ შეფასებებს ეფუძვნება, ანუ გამოდის რომ შესაბამისად ჩვენ გვჭირდება დამატებითი კრიტერიუმები იმისათვის რომ შევარჩიოთ „სწორი“ ექსპერტი „სწორი“ შეფასებისათვის.

მოცემული სხვადასხვა სახის ინფორმაციისათვის არსებობს შეუსაბამობა გამონათქვამის შინაარსსა და მის განუზღვრელობას შორის. გამონათქვამის შინაარსის დაზუსტება იწვევს განუზღვრელობის ზრდას და პირიქით ინფორმაციის არამკაფიო ბუნებას მივყავართ ინფორმაციიდან მიღებული საბოლოო დასკვნებში უზუსტობასთან.

როდესაც არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია იმ თვისების შესახებ რომლის მოდელირებასაც ვცდილობთ, ჩვენ შევიძუშავეთ მეთოდი რომლის მეშვეობითაც მოვახდენთ ამ თვისების კანონიკურად შეუღლებული თვისების დაზუსტებას, რომლის აღწერა ზემოაღნიშნული არათავსებადობის პრინციპის შესაბამისად გაცილებით ადვილი აღსაწერია, ხოლო შემდგომ ვახდენთ ამ შეფასებების ე.წ. გასაშუალოებას ოპტიმალურობის პირობის შემოტანის ხარჯზე.